EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია 2019-2025

დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 05 სექტემბრის № ბრძანებით

EEU

1. ზოგადი დებულებები

სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია (შემდგომში - „**სტრატეგია**“) ეფუძნება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „**უნივერსიტეტი**“) მისიას, ძირითად ღირებულებებს და განსაზღვრავს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

სტრატეგიის შემუშავების **სამართლებრივი საფუძვლებია:**

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა.

წინამდებარე სტრატეგია მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას.

2. სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია

სტრატეგიის განვითარების გეგმის ფორმირების პროცესში უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ინსტიტუციური ეფექტიანობისა და ხარისხის შიდა და გარე შეფასებების შედეგები, უნივერსიტეტის საქმიანობისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნები, აგრეთვე, შესწავლილი იქნა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება შესაბამისი საერთაშორისო კონტექსტის გასათვალისწინებლად.

სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების საწყის ეტაპზე განხორციელდა ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების იდენტიფიცირება, რომლებიც ეფუძნებოდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისიას, ძირითად ღირებულებებს და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით პრიორიტეტებს;

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის შეფასების შედეგად განხორციელდა SWOT ანალიზი.

სტრატეგიაზე მომუშავე სამეცნიერო კვლევების განვითარების ჯგუფმა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პირობებში ჩამოაყალიბა ძირითადი სტრატეგიულ პრიორიტეტები და ამოცანები. ამოცანების ფარგლებში განისაზღვრა აქტივობები და შესრულების ძირითადი ინდიკატორები/კრიტერიუმები.

სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობები და ვადები განისაზღვრება კვლევის მიმართულებებით ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მისია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის **მისიას** წარმოადგენს უნივერსიტეტის როგორც კვლევებზე ორიენტირებული ინსტიტუციის ჩამოყალიბება, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების შესაბამის კვლევებს, უზრუნველყოფს კვლევითი პოტენციალის განვითარებასა და კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირებას კვლევითი საქმიანობის წახალისების, მხარდაჭერისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გზით.

4. ჩვენი ხედვა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი საერთაშორისო დონეზე აღიარებული იქნას, როგორც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული და კვლევაზე ორიენტირებული ინსტიტუცია, რისთვისაც:

- ახალისებს აკადემიურ პერსონალს, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარებს, ახალი ცოდნისა და მაღალი ხარისხის სამეცნიერო პუბლიკაციების შექმნისთვის, აგრეთვე მხარს უჭერს მათ კვლევითი პოტენციალის განვითარებას;
- ავითარებს კვლევითი ეთიკის კულტურას და ხელს უწყობს ფუნდამენტური, გამოყენებითი და ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებას;
- ახორციელებს კვლევის შედეგების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში;
- უზრუნველყოფს სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციას და მათ ჩართულობას;
- თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან კვლევითი პროექტების განხორცილების მიზნით;
- უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით მიღებული შედეგების გამოყენებას;
- ოპტიმალურად და ეფექტიანად იყენებს ინტელექტუალურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს ხარისხიანი კვლევების გასავითარებლად.

5. ღირებულებები, რომლებსაც ჩვენი კვლევა ეფუძნება:

- **ჩართულობა (ინკლუზიურობა)** - ჩვენი კვლევა ორიენტირებულია საზოგადოებრივ პრობლემებზე და ითვალისწინებს მათს ინტერესებს. კვლევას ვახორციელებთ პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით და საზოგადოებასთან აქტიური ურთიერთქმედებით, მიუხედავად მათი ეთნიკური, რელიგიური, სოციალური და კულტურული მრავალფეროვნებისა. ჩვენთვის ,,კვლევის სუბიექტები'' კვლევის პარტნიორები არიან.
- **თანასწორობა** - ჩვენი კვლევითი საქმიანობა თანასწორობის პრინციპისადმი ურყევი ერთგულებითაა განმსჭვალული, რითაც უზრუნველვყოფთ კვლევების განხორციელების პროცესში მონაწილეთა სრულფასოვან სუბიექტებად (პარტნიორებად) ჩართულობას და აკადემიური მიუკერძოებლობის შენარჩუნებას.
- **ინოვაციურობა** - ჩვენი კვლევა ახალი ცოდნის შექმნასა და მის გავრცელებაზეა ორიენტირებული. მეცნიერული სიახლეების დანერგვით ხელს ვუწყობთ საზოგადოების სოციალურ-კულტურულ პროგრესს.
- **აკადემიური თავისუფლება** - კვლევას ახორციელებენ მკვლევრები, რომლებიც თავად განსაზღვრავენ კვლევის მიზნებსა და ამოცანებს. აკადემიური თავისუფლების პრინციპისადმი მტკიცე ერთგულებით გამოვხატავთ იმ მთავარი ღირებულებისადმი პატივისცემას, რომელიც საუნივერსიტეტო ცხოვრების თანამგზავრია.
- **სარგებლიანობა** - ჩვენი კვლევა ორიენტირებულია ისეთ შედეგებზე, რომლებიც სასარგებლო იქნება ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, პერსონალისთვის და ხელს შეუწყობს მათ მდგრად განვითარებას.
- **კეთილსინდისიერება** - ჩვენი კვლევა კეთილსინდისიერების პრინციპების განუხრელ დაცვას ეფუძნება. საკვანძო მნიშვნელობას ვანიჭებთ საუნივერსიტეტო კვლევების ეთიკური სტანდარტების დაცვით განხორციელებას, კვლევის ეთიკის ფუნდამენტური პრინციპების განვითარებასა და განმტკიცებას.
- **თანამშრომლობა** - ჩვენი პრიორიტეტია კვლევები განვახორციელოთ ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციებთან და გამოცდილ მკვლევარებთან პარტნიორობით ჩვენ ორიენტირებულნი ვართ გამორჩეული ხარისხის მქონე მეცნიერული პროდუქციის შექმნაზე.

6. SWOT ანალიზი

სამეცნიერო-კვლევითი გარემოს SWOT ანალიზი შემუშავდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის როგორც სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალისა და სამეცნიერო აქტივობების შეფასებების საფუძველზე.

ძლიერი მხარე	გასაუმჯობესებელი მხარე
საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზების გამოცდილება	სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა
საეთაშორისო პარტნიორთა მზარდი მაჩვენებელი	კვლევების ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელი
კვალიფიციური აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი	აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვლევით პროექტებში დაბალი ჩართულობა
აფილირებული და აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ოპტიმალური თანაფარდობა	კვლევების კომერციალიზაცია
საუნივერსიტეტო სამეცნიერო ჟურნალი	EEU -ს ჟურნალის ცნობადობა
უნივერსიტეტის მზაობა სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები	საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების მაჩვენებელი
საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა	მაღალ (რეიტინგულ) იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციათა რაოდენობა და დაბალი ციტირება
გამოცდილი ადმინისტრაციული პერსონალი	კვლევითი ინფრასტრუქტურა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
სამეცნიერო-კვლევით სფეროში თანამშრომლობის ქსელის გაფართოება	ქვეყნისა და საერთაშორისო პოლიტიკურ/ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება;
აკადემიურ პერსონალისათვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები	არასათანადოდ გაწეული სამუშაოების შედეგად გამოწვეული რეპუტაციული რისკები
პროფესიული განვითარების პროგრამები	სწრაფი ცვლილებები კანონმდებლობაში, ორგანიზაციული მართვისა და განათლების სტანდარტებში,
მაღალკვალიფიციური საერთაშორისო პერსონალის ხელმისაწვდომობა	ფინანსური რისკები
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი საგრანტო პროგრამები	მაღალი რისკის მქონე გაუთვალისწინებელი გარე ფაქტორები.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების პოპულარიზაცია	
ახალგაზრდა მკვლევარების წახალისების სისტემა	

7. კვლევების განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები და სტრუქტურა

უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული მისიითა და დასახული მიზნების რეალიზებით აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ორიენტირებულია მაღალი ხარისხის კვლევების განხორციელებაზე ინდივიდუალურ, დისციპლინარულ და ინტერდისციპლინური კონტექსტებში. უნივერსიტეტი, ასევე ესწრაფვის, დაიცვას ბალანსი ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს შორის და ორივე მიმართულებით კვლევა საზოგადოების საკეთილდღეოდ აწარმოოს.

2019-2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია ორიენტირებულია **ოთხ სტრატეგიულ პრიორიტეტზე:**

- **კვლევები** დაფუძნებული უნდა იყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო პრიორიტეტებზე, ხორციელდებოდეს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების მიმართულებით როგორც ინდივიდუალურ, ასევე დისციპლინურ და ინტერდისციპლინური კვლევით კონტექსტში.
- **კვალიფიციური სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა**, შენარჩუნება და სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირება კვლევითი კულტურის განვითარებისა და დანერგვის მიზნით, რაც, თავის მხრივ, აფართოებს ჩვენს კვლევით შესაძლებლობებსა და კვლევების ხარისხს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.
- **კვლევების მართვის ეფექტიანი სისტემის** განვითარება, რომელიც ორიენტირებული არის ანგარიშვალდებულების, კონტროლის, მხარდაჭერის ღია და გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვაზე.
- **კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება**[1] მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების/ლაბორატორიების აღჭურვას, საბიბლიოთეკო რესურსებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების განვითარებას, თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფას და ა.შ. რაც შეესაბამება ჩვენს სწრაფვას - შევუქმნათ მკვლევრებს საუკეთესო გარემო.

[1] კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები სრულად განხილულია უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიულ გეგმაში.

კვლევითი გეგმის სტრუქტურა

ამოცანები	კვლევები	კვალიფიციური სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა	კვლევების მართვის ეფექტიანი სისტემის
1. სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება	☒		
2. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და კვლევების ინტერნაციონალიზაცია	☒	☒	
3. კვლევითი შედეგების კომერციალიზაციის უნარების განვითარება			☒
4. სამეცნიერო კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესში			☒
5. სტუდენტების სამეცნიერო პოტენციალის გაზრდა	☒	☒	
6. ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა	☒		
7. აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის/პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმების სრულყოფა			☒

8. სტრატეგიული ამოცანები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი **საქმიანობის სტრატეგიული მიზნების** მისაღწევად 2019-2025 წლებში განისაზღვრა შემდეგი ამოცანები, აქტივობები და შესრულების ინდიკატორები:

ამოცანა 1. სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება

აქტივობა	ინდიკატორები
1.1. აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებსა ან/და საერთაშორისო გამოცემებში კვლევის შედეგების გამოქვეყნების ხელშეწყობა	• მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებსა ან/და საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნების ხელშემწყობ მექანიზმებში ჩართული პირების რაოდენობა

1.2.	მკვლევრებისათვის სპეციალური ხელშეკრულების გაფორმება 60/40-ზე მექანიზმით;	• ხელშეკრულების ფორმა
1.3.	მკვლევრების წახალისების მექანიზმის განვითარება და სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა	• მკვლევრების წახალისების მექანიზმები • საგრანტო დაფინანსების მექანიზმები • სამეცნიერო საქმიანობაზე გამოყოფილი ფინანსური სახსრების მოცულობა
1.4.	კვლევის საქმიანობაში ჩართული პერსონალის კვლევითი უნარების განმავითარებელი ტრენინგების და კონსულტაციების ჩატარება (კვლევის მეთოდოლოგია, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობა და სხვა)	• ტრენინგების რაოდენობა • კონსულტაციების რაოდენობა
1.5.	საუნივერსიტეტო კვლევების მიმართულებების და პრიორიტეტების განსაზღვრა	• სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტების დოკუმენტი
1.6.	აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კულტურის მხარდაჭერა, პლაგიატის აღმოფხვრა, პლაგიატთან ბრძოლის არსებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.	• პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმების გაუმჯობესება; • საუნივერსიტეტო ეთიკის შესახებ ახალგაზრდა მკვლევრების ცნობიერების ამაღლება.
1.7.	პლაგიატის გამოვლენის სისტემის განვითარება	• განახლებული პლაგიატის გამოვლენის სისტემის ამსახველი დოკუმენტი
1.8.	კვლევის ეთიკის ნორმების დახვეწა და კვლევითი ეთიკის კოდექსის შემუშავება	• კვლევის ეთიკის კოდექსის ამსახველი დოკუმენტი
1.9.	კვლევის ეთიკის კომიტეტის შექმნა	• კვლევის ეთიკის კომიტეტის დებულების ამსახველი დოკუმენტი
1.10.	სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრის შექმნა	• სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრის დებულების ამსახველი დოკუმენტი
1.11.	უნივერსიტეტის ბაზაზე ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა და განვითარება	• უნივერსიტეტის ბაზაზე ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა და განვითარება

ამოცანა 2. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და კვლევის ინტერნაციონალიზაცია

	აქტივობა	ინდიკატორები
2.1.	უცხოურ უნივერსიტეტებთან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში თანამშრომლობის გაძლიერება;	• თანამშრომლობის ხელშეკრულება, მემორანდუმების რაოდენობა; • ერთობლივი კვლევების რაოდენობა
2.2.	უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევის შედეგების და აქტუალური სამეცნიერო და პრაქტიკული საკითხების პოპულარიზაცია	• კონფერენციების რაოდენობა; • სემინარების რაოდენობა • ვებ-გვერდზე განთავსებული კვლევითი ნაშრომების რაოდენობა
2.3.	პარტნიორ ორგანიზაციებთან კვლევით სფეროში ერთობლივი სამეცნიერო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება	• პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთობლივი სამეცნიერო განხორციელებული პროექტების რაოდენობა • პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორცილებაზე დადებული ხელშეკრულებები
2.4.	უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული ჟურნალების ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა;	• ჟურნალის ERIH PLUS-ში ინდექსირება
2.5.	საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება;	• კონფერენციების რაოდენობა
2.6.	უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე კვლევებისადმი მიძღვნილი ვებ-პლატფორმის გაუმჯობესება. რომელშიც განთავსებული იქნება როგორც კვლევითი ცენტრების, ასევე, ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის კვლევითი პროექტების აღწერილობები.	• უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული აქტივობების რაოდენობა
2.7.	საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფონდებთან თანამშრომლობის გაღრმავება	• განხორციელებული გრანტების რაოდენობა

ამოცანა 3. კვლევითი შედეგების კომერციალიზაციის უნარების განვითარება

	აქტივობა	ინდიკატორები
3.1.	გამოყენებითი კვლევების მხარდამჭერი მექანიზმის შემუშავება;	• გამოყენებითი კვლევების საგრანტო კონკურსის წესი
3.2.	თანამშრომლობის განვითარება სხვადსხვა დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტებთან.	• მემორანდუმების რაოდენობა;
3.3.	კვლევითი |შედეგების კომერციალიზაციის საკითხებში პროფესიული უნარების განვითარება	• ტრენინგების რაოდენობა
3.4.	გამოყენებითი კვლევებისათვის მხარდამჭერი ცენტრების განვითარება	• გაუმჯობესებული ცენტრების რაოდენობა

ამოცანა 4. სამეცნიერო კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესში

	აქტივობები	ინდიკატორი
4.1.	სწავლების პროცესში პედაგოგების მიერ საკუთარი კვლევების/პუბლიკაციების გამოყენების მიზნით სილაბუსების რეგულარული განახლება	• სილაბუსების რაოდენობა, რომელშიც გამოყენებულია კვლევის შედეგები
4.2.	ცოდნის არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმირებულობის ზრდა	• სემინარების/პრეზენტაციების რაოდენობა
4.3.	კვლევის სფეროს უახლესი მიგნებების ინტეგრირება კურიკულუმში	• განახლებული კურიკულუმი (ოქმები)
4.4.	სტუდენტების კვლევით პროცესში ჩართულობის მექანიზმის შემუშავება	• სტუდენტების კვლევით პროცესში ჩართულობის მექანიზმი • კვლევით პროცესში ჩართული სტუდენტების რაოდენობა

ამოცანა 5. სტუდენტების სამეცნიერო პოტენციალის გაზრდა

	აქტივობები	ინდიკატორი
5.1.	სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების განვითარება	• სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების განვითარება • ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა; • საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა;
5.2.	ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კვლევითი ფონდების, პროექტების, პროგრამებისა და სამეცნიერო ჟურნალების შესახებ საინფორმაციო-ელექტრონული პლატფორმის შექმნა და განვითარება	• საინფორმაციო-ელექტრონული პლატფორმა • მომხმარებელთა რაოდენობა
5.3.	სტუდენტებისთვის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის, კვლევითი მეთოდები გამოყენების ხერხების, სტატიების მომზადების, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში მუშაობისთვის აუცილებელი უნარების დახვეწის მიზნით ტრენინგების ჩატარება	• ტრენინგების რაოდენობა • საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების მოხმარების გაზრდილი მაჩვენებელი
5.4.	კვლევით საგრანტო კონკურსებში სტუდენტების წახალისების მექანიზმების განვითარება	• კვლევითი საგრანტო კონკურსის წესი

		• დაფინანსებული პროექტები რაოდენობა • დასრულებული პროექტები რაოდენობა
5.5.	სტუდენტთა ნაშრომების პოპულარიზაციის მექანიზმის შემუშავება და განვითარება	• სტუდენტთა ნაშრომების პოპულარიზაციის მექანიზმი • სტუდენტთა საუნივერსიტეტო ვებ საიტზე პუბლიკაციების რაოდენობა
5.6.	საუკეთესო სტუდენტური ნაშრომების/კვლევითი პროექტების გამოვლენის და წახალისების მექანიზმების განვითარება	• საუკეთესო სტუდენტური ნაშრომების/კვლევითი პროექტების გამოვლენის და წახალისების მექანიზმები • დაჯილდოებული სტუდენტების რაოდენობა
5.7.	ჯგუფური და ინტერდისციპლინური სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი აქტიურობების წახალისება	• ჯგუფური და ინტერდისციპლინური სტუდენტური სამეცნიერო პროექტების რაოდენობა

ამოცანა 6. ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა

	აქტივობები	**ინდიკატორი**
6.1.	ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება	• განხორციელებული დაგეგმილი და მიმდინარე ინტერდისციპლინური კვლევების რაოდენობა
6.2.	კვლევითი ინტერდისციპლინური გრანტების მოპოვების მიზნით აკადემიურ პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრები	• შეხვედრების რაოდენობა; • განხორციელებული ინტერდისციპლინური კვლევითი გრანტები ცენტრის ფარგლებში
6.3.	ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარების მიზნით საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა	• საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ხელშეკრულებების რაოდენობა • განხორციელებული პროექტების რაოდენობა

ამოცანა 7. აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის/პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმების სრულყოფა

	აქტივობები	ინდიკატორი
7.1.	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროში უნივერსიტეტში არსებული მატერიალური და აკადემიური პერსონალის რესურსების შეფასება;	• ყოველწლიური ანგარიში
7.2.	მკვლევრების კმაყოფილების მუდმივი მონიტორინგი მოტივაციის შენარჩუნებისა და სამუშაო ეფექტიანობის ამაღლების მიზნით	• კმაყოფილების კვლევის ანგარიში
7.3.	კვლევითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემის განვითარება	• კვლევითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა სისტემის ამსახველი დოკუმენტი
7.4.	სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის შეფასება	• ყოველწლიური ანგარიშები

9. სამეცნიერო კვლევების სამიზნე ნიშნულები (KPI)

სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიით განხორციელების შედეგების შესაფასებლად უნივერსიტეტმა დააგინა სამეცნიერო კვლევების სამიზნე ნიშნულები.

№	ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებლები	სამიზნე ნიშნულები						
		2016-2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2019-2025[2]
1	ადგილობრივ რეფერირებად, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში (proceedings) გამოქვეყნებული შრომები	141	160	180	200	230	250	270	129

[2] საბაზისო წელთან შედარებით რამდენით გაიზარდა.

2	საერთაშორისო რეფერირებად, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში (proceedings) გამოქვეყნებული შრომები,	138	163	178	193	208	223	238	100
3	მაღალრეიტინგულ (მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე) სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები,	59	69	79	89	99	109	119	60
4	მონოგრაფია	32	35	40	45	50	55	60	28
5	სახელმძღვანელო	35	37	39	41	43	45	50	15
6	თარგმანი	22	24	26	28	30	32	35	13
7	გამოგონება, პატენტი	7	7	7	7	7	8	8	1
8	ადგილობრივ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა	48	51	53	56	59	62	65	17
9	საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა	53	55	57	59	61	62	64	11
10	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობა	168	178	188	198	208	218	220	52
11	ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, მონაწილეობა	107	117	130	140	150	160	170	63
12	ციტირება (g)	317	340-350	360-370	390-400	430-440	490-500	520-530	203-213
15	ციტირება (h)	103	108-110	120-125	130-135	140-145	150-155	160-165	57-62
18	ციტირების რაოდენობა	3761	4000	4100-4150	4300-4350	4450-4500	4650-4700	4800-4850	1039-1089

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 2019-2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1. სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება		შესრულების პროცესი	წლები						
	აქტივობა		2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
1.1	აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებსა ან/და საერთაშორისო გამოცემებში კვლევის შედეგების გამოქვეყნების ხელშეწყობა	შესრულების პროცესშია	☒	☒	☐	☐	☐	☐	
1.2	მკვლევრებისათვის სპეციალური ხელშეკრულების გაფორმება 60/40-ზე მექანიზმით;	არ არის შესრულებული						☐	☐
1.3	მკვლევრების წახალისების მექანიზმის განვითარება და სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა	შესრულებულია		☒					

1.4	კვლევის საქმიანობაში ჩართული პერსონალის კვლევითი უნარების განმავითარებელი ტრენინგების და კონსულტაციების ჩატარება (კვლევის მეთოდოლოგია, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობა და სხვა)	შესრულების პროცესშია	☒	☒	☐	☐	☐	☐	☐
1.5	საუნივერსიტეტო კვლევების მიმართულებების და პრიორიტეტების განსაზღვრა	შესრულებულია	☒	☒					
1.6	აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კულტურის მხარდაჭერა, პლაგიატის აღმოფხვრა, პლაგიატთან ბრძოლის არსებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.	შესრულებულია		☒					
1.7	პლაგიატის გამოვლენის სისტემის განვითარება	შესრულებულია		☒					
1.8	კვლევის ეთიკის ნორმების დახვეწა და კვლევითი ეთიკის კოდექსის შემუშავება	შესრულებულია		☒					
1.9	კვლევის ეთიკის კომიტეტის შექმნა	შესრულებულია		☒					
1.10	სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრის შექმნა	შესრულებულია		☒					
1.11	უნივერსიტეტის ბაზაზე ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა და განვითარება	შესრულებულია	☒	☒	☐				

ამოცანა 2. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და კვლევის ინტერნაციონალიზაცია		**შესრულების პროცესი**	**წლები**						
	აქტივობა		**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**
2.1	უცხოურ უნივერსიტეტებთან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში თანამშრომლობის გაძლიერება;	შესრულების პროცესშია	☒	☒	☐	☐	☐	☐	☐
2.2	უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევის შედეგების და აქტუალური სამეცნიერო და პრაქტიკული საკითხების პოპულარიზაცია	შესრულების პროცესშია	☒	☒	☐	☐			
2.3	პარტნიორ ორგანიზაციებთან კვლევით სფეროში ერთობლივი სამეცნიერო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება	შესრულების პროცესშია	☒	☒	☐	☐			
2.4	უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული ჟურნალების ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა;	შესრულების პროცესშია	☒	☒	☐	☐			
2.5	საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება;	შესრულების პროცესშია	☒	☒	☐	☐	☐	☐	☐
2.6	უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე კვლევებისადმი მიძღვნილი ვებ-პლატფორმის გაუმჯობესება. რომელშიც განთავსებული იქნება როგორც კვლევითი ცენტრების, ასევე, ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის კვლევითი პროექტების აღწერილობები.	შესრულებულია	☒	☒					
2.7	საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფონდებთან თანამშრომლობის გაღრმავება	შესრულების პროცესშია	☒	☒	☐	☐	☐	☐	☐

ამოცანა 3. კვლევითი შედეგების კომერციალიზაციის უნარების განვითარება	შესრულების პროცესი	წლები						
აქტივობა		2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
2.1 გამოყენებითი კვლევების მხარდამჭერი მექანიზმის შემუშავება;	შესრულების პროცესშია			☒	☐			
2.2 თანამშრომლობის განვითარება სხვადსხვა დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტებთან.	შესრულების პროცესშია	☒	☒	☐				
2.3 კვლევითი |შედეგების კომერციალიზაციის საკითხებში პროფესიული უნარების განვითარების მიზნით ტრენინგების ჩატარება	შესრულების პროცესშია		☒	☐	☐			
2.4 გამოყენებითი კვლევებისათვის მხარდამჭერი ცენტრების განვითარება	შესრულების პროცესშია		☒	☐				

ამოცანა 4. სამეცნიერო კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესში	შესრულების პროცესი	წლები						
აქტივობა		2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
2.1 სწავლების პროცესში პედაგოგების მიერ საკუთარი კვლევების/პუბლიკაციების გამოყენების მიზნით სილაბუსების რეგულარული განახლება	შესრულების პროცესშია	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
2.2 ცოდნის არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმირებულობის ზრდა	შესრულების პროცესშია	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
2.3 კვლევის სფეროს უახლესი მიგნებების ინტეგრირება კურიკულუმში	შესრულების პროცესშია	☒	☒	☒				
2.4 სტუდენტების კვლევით პროცესში ჩართულობის მექანიზმის შემუშავება	შესრულებულია	☒	☒					

ამოცანა 5. სტუდენტების სამეცნიერო პოტენციალის გაზრდა	შესრულების პროცესი	წლები						
აქტივობა		2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
5.1 სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების განვითარება	შესრულებულია	☒	☒					
5.2 ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კვლევითი ფონდების, პროექტების, პროგრამებისა და სამეცნიერო ჟურნალების შესახებ	შესრულების პროცესშია		☒	☐				

საინფორმაციო-ელექტრონული პლატფორმის შექმნა და განვითარება.								
5.3 სტუდენტებისთვის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის, კვლევითი მეთოდები გამოყენების ხერხების, სტატიების მომზადების, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში მუშაობისთვის აუცილებელი უნარების დახვეწის მიზნით ტრენინგების ჩატარება	შესრულების პროცესშია		☒	☐				
5.4 კვლევით საგრანტო კონკურსებში სტუდენტების წახალისების მექანიზმების განვითარება	შესრულებულია	☒	☒					
5.5 სტუდენტთა ნაშრომების პოპულარიზაციის მექანიზმის შემუშავება და განვითარება	შესრულების პროცესშია	☒	☒	☐				
5.6 საუკეთესო სტუდენტური ნაშრომების/კვლევითი პროექტების გამოვლენის და წახალისების მექანიზმების განვითარება	არ არის შესრულებული		☐	☐				
5.7 ჯგუფური და ინტერდისციპლინური სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი აქტიურობების წახალისება	შესრულების პროცესშია		☒	☐				

ამოცანა 6. ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა აქტივობა	შესრულების პროცესი	წლები						
		2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
6.1 ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება	შესრულების პროცესშია		☒	☐				
6.2 კვლევითი ინტერდისციპლინური გრანტების მოპოვების მიზნით აკადემიურ პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრები	შესრულების პროცესშია		☒	☐	☐			
6.3 ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარების მიზნით საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა	შესრულების პროცესშია		☒	☐	☐			

ამოცანა 7. აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის/პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმების სრულყოფა აქტივობა	შესრულების პროცესი	წლები						
		2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
7.1 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროში უნივერსიტეტში არსებული მატერიალური და აკადემიური პერსონალის რესურსების შეფასება;	შესრულებულია	☒	☒					
7.2 მკვლევრების კმაყოფილების მუდმივი მონიტორინგი მოტივაციის შენარჩუნებისა და სამუშაო ეფექტიანობის ამაღლების მიზნით	შესრულებულია		☒					
7.3 კვლევითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემის განვითარება	შესრულების პროცესშია	☒	☒					
7.4 სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შეფასება	შესრულებულია	☒	☒					